საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

"აწარმოე საქართველოში" დირექტორის

ბრძანება

KA020134981586320

№ ს-2 **15 / იანვარი / 2020 წ.**

"ექსპორტის სტიმულირების მიზნით საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის კომპანიების შერჩევის კრიტერიუმებისა და თანადაფინანსების მექანიზმის" დამტკიცების შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად:

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს "ექსპორტის სტიმულირების მიზნით საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის კომპანიების შერჩევის კრიტერიუმები და თანადაფინანსების მექანიზმი" დანართის შესაბამისად.

2. ბრძანებით დამტკიცებული წესის შესრულება დაევალოს ექსპორტის დეპარტამენტს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (0105 ქ, თბილისი, სანაპიროს ქ. N2 (იუსტიციის სახლი, ყოფილი ენერგეტიკის სამინისტრო).

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-ის ``აწარმოე საქართველოში``
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

თორნიკე ზირაქიშვილი

ექსპორტის სტიმულირების მიზნით საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის კომპანიების შერჩევის კრიტერიუმები და თანადაფინანსების მექანიზმი

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ (შემდგომში სააგენტო) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაში/გამოფენაში მონაწილეობის მიზნით სთავაზობს დახმარებას ფინანსური და/ან ორგანიზაციული კუთხით.

დოკუმენტის შემუშავების მიზანია ხელი შეუწყოს სააგენტოს დებულების შესაბამისი ამოცანებისა და ფუნქციების ეფექტიანად შესრულებას. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტების შერჩევის კრიტერიუმები და თანადაფინანსების მექანიზმი.

<u>ტერმინთა განმარტება</u>

სააგენტო - საჯარო სამართლის იურიდიული პირი „აწარმოე საქართველოში“;

აპლიკანტი - პირი, რომელიც დაინტერესებულია საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებით და აღნიშნულის თაობაზე სააგენტოს მიერ შემუშავებული სარეგისტრაციო ფორმის მეშვეობით აკეთებს განაცხადს;

კვალიფიციური აპლიკანტი - პირი, რომელიც დანართი #1 - ის შესაბამისად აკმაყოფილებს დასაშვებობის ყველა კრიტერიუმს და დანართ #2-ში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით აგროვებს 4 (ოთხი) ან მეტ ქულას;

ბენეფიციარი - საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში, სააგენტოს სერვისებით მოსარგებლე პირი;

ექსპორტიორი კომპანია - პირი, რომელიც ახორციელებს ან/და ერთხელ მაინც განუხორციელებია ექსპორტი ბოლო 3 წლის განმავლობაში;

საწარმოს ზომითი კატეგორია - საწარმოს ზომითი კატეგორია განისაზღვრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული კანონის მიხედვით საწარმოები იყოფიან პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ზომით კატეგორიებად.

საერთაშორისო ღონისძიება - საერთაშორისო გამოფენა (ონლაინ გამოფენა), სავაჭრო მისია, კონფერენცია და/ან მსგავსი ხასიათის ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს საქართველოდან ექსპორტის ზრდას და ქართული საექსპორტო პროდუქციის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზრებზე, გარდა საერთაშორისო მოდის კვირეულების ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებებისა (ე.წ. შოურუმი)

დებულება - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის ბრძანება №1-1/217 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების დამტკიცების შესახებ“;

სარეგისტრაციო ფორმა - სააგენტოს მიერ შემუშავებული სარეგისტრაციო ფორმა, რომელიც განთავსდება ვებ-გვერდებზე: www.tradewithgeorgia.com ან/და www.enterprise.gov.ge ან/და სააგენტოს სოციალურ ქსელში;

რელევანტური სერტიფიკატი - საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი, რომელიც გაცემულია სათანადოდ აკრედიტებული ორგანოს მიერ ან/და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური სერტიფიკატი/ცნობა;

დონორი ორგანიზაცია - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობ პროგრამას საქართველოში;

თანადაფინანსება - ღონისძიებაში ბენეფიციარის მონაწილეობის მიზნით სააგენტოს მიერ გადასახდელი თანხა.

თანამონაწილეობა - ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხა.

ღონისძიების სავარაუდო ხარჯი - ერთ ღონისძიებისთვის სრულად გასაწევი სავარაუდო (დაგეგმილი) ხარჯი.

საბაზისო ხარჯი - ღონისძიებასთან დაკავშირებული, ერთ ბენეფიციარისთვის გაწეული ან/და გასაწევი თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობის ჯამი.

დანართი #1 - კომპანიების დასაშვებობის კრიტერიუმები;

დანართი #2 (ა) - კომპანიის შერჩევის კრიტერიუმები ყველა სექტორისთვის, ბავშვის ტანსაცმლის, სათამაშოებისა და ტყავის პროდუქციის წარმოების სექტორების გარდა.

დანართი #2 (ბ) კომპანიის შერჩევის კრიტერიუმები ბავშვის ტანსაცმლის, სათამაშოებისა და ტყავის პროდუქციის წარმოების სექტორისთვის.

საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესი

საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას სააგენტო ავრცელებს ელექტრონული საშუალებებით, მათ შორის: ელექტრონული ფოსტის, ვებ-გვერდების www.tradewithgeorgia.com და www.enterprise.gov.ge და სააგენტოს სოციალური ქსელის მეშვეობით.

<u>კომპანიების შერჩევის წესი</u>

- თავდაპირველად კომპანიების დასაშვებობა მოწმდება დანართი #1-ით განსაზღვრული დასაშვებობის კრიტერიუმების მიხედვით. კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს დანართი #1-ში მითითებულ ყველა კრიტერიუმს. აღნიშნული ეტაპის გავლის შემდეგ კომპანია ფასდება დანართი #2-ით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით და ენიჭება შესაბამისი ქულა.
- კონკრეტულ გამოფენაში მონაწილე კომპანიების მაქსიმალურ რაოდენობას და თითოეული კომპანიისთვის გადასაცემი ფართის ოდენობას განსაზღვრავს სააგენტო, საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის გამოყოფილი ფართის გათვალისწინებით.
- კონკრეტული ონლაინ გამოფენის შემთხვევაში მონაწილე კომპანიების მაქსიმალურ რაოდენობას და თანადაფინანსების ოდენობას (თითოეული კომპანიისთვის გასაწევი

ხარჯის ოდენობას) განსაზღვრავს სააგენტო, აღნიშნული პროგრამისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის და თანადაფინანსების სქემის საფუძველზე.

- კომპანიები შეირჩევიან მიღებული ქულების და კვოტირების წესის საფუძველზე.
- კომპანიების შერჩევაში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ კვალიფიციურ აპლიკანტს.
- ღონისძიებაში მონაწილეობისთვის შეირჩევიან ყველაზე მაღალი ქულების მქონე კვალიფიციური აპლიკანტები, მაგრამ შერჩეულთა სიაში ერთი და იგივე პროდუქტის მწარმოებელთა რიცხვი არ შეიძლება აჭარბებდეს გამოფენაში მონაწილე კომპანიების შესაძლო მაქსიმალური რაოდენობის 25 პროცენტს (კვოტირების წესი).
- თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მე-3, მე-4, მე-2 და 1-ლი კატეგორიების საწარმოებს მოცემული თანმიმდევრობით. იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდა თანაბარი ქულები, ჯერ უპირატესობა ენიჭება ხარისხის დამადასტურებელი რელევანტური სერტიფიკატის მქონე პირს, შემდეგ ექსპორტიორს და ბოლოს მაღალი საწარმოო პოტენციალის მქონე საწარმოს, მიღებული ქულის გათვალისწინებით. თუ ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით მაინც უცვლელი დარჩა ქულები, სააგენტო უპირატესობას მიანიჭებს უფრო ადრე მიღებულ განაცხადს.
- კვოტირების წესი და თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობის მინიჭების პრინციპი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კვალიფიციურ აპლიკანტთა რიცხვი აჭარბებს გამოფენაში მონაწილე კომპანიების შესაძლო მაქსიმალურ ოდენობას. თუ მოცემული წესის გათვალისწინებით სია ვერ შეივსო, მაშინ დარჩენილი ადგილები გადანაწილდება ყველაზე მაღალი ქულების მქონე კვალიფიციურ აპლიკანტებზე.

<u>თანადაფინანსების სქემა</u>

- თანადაფინანსების ოდენობა დამოკიდებულია საწარმოს ზომით კატეგორიასა და საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში ერთი კალენდარული წლის განმავლობაში სააგენტოს თანადაფინანსების მექანიზმით/სერვისით სარგებლობის ჯამურ რაოდენობაზე. საწარმოს ზომითი კატეგორია შეიძლება დადგინდეს/გადამოწმდეს ვებ გვერდზე: www.reportal.ge. თუ ინფორმაცია კომპანიის ზომითი კატეგორიის შესახებ არაა განთავსებული ვებ გვერდზე www.reportal.ge, მაშინ საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობით დაინტერესებული პირი ვალდებულია სააგენტოს მიაწოდოს ცნობა კომპანიის კატეგორიის შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურიდან (www.saras.gov.ge) ან/და ანგარიშგების პორტალიდან (www.reportal.ge).
- სააგენტო, თავის მხრივ, საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობით დაინტერესებულ პირს შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწვდის ინფორმაციას მის მიერ, ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში სააგენტოს თანადაფინანსების მექანიზმით/სერვისით სარგებლობის ჯამური რაოდენობის შესახებ.
- ღონისძიების სავარაუდო ხარჯის და მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობის დადგენის (შერჩევის პროცედურის შესაბამისად) შემდგომ განისაზღვრება ერთ ბენეფიციარზე საბაზისო ხარჯი. ამასთან, წინამდებარე თავის პირობების შესაბამისად, თანამონაწილეობის დადგენილი პროცენტული ოდენობის საფუძველზე მისი

ფიქსირებული ოდენობა განისაზღვრება ქვევით მოცემული კალკულაციის ცხრილის თანახმად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ღონისძიების ხარჯების (შესაბამისად საბაზისო ხარჯის) ცვლილების შემთხვევაში, შეიცვლება მხოლოდ სააგენტოს თანადაფინანსების პროცენტი და მოცულობა.

თანამონაწილეობის კალკულაციის ცხრილი

საწარმოს კატეგორია	**სააგენტოს საწყისი პროცენტული თანადაფინანსება**	**ბენეფიციარის საწყისი პროცენტული თანამონაწილეობა**[1]
პირველი კატეგორიის საწარმო	60%	40% (არაუმეტეს 5400 აშშ დოლარისა)
მეორე კატეგორიის საწარმო	70%	30% (არაუმეტეს 4050 აშშ დოლარისა)
მესამე კატეგორიის საწარმო	80%	20% (არაუმეტეს 2700 აშშ დოლარისა)
მეოთხე კატეგორიის საწარმო	90%	10% (არაუმეტეს 1350 აშშ დოლარისა)

- ღონისძიების დაგეგმვის ეტაპზე (გარდა საკვები და სასმელი პროდუქტების ღონისძიებებისა), საბაზისო ხარჯის დადგენისას, სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 15 000 აშშ დოლარის ექვივალენტს შესაბამის ვალუტაში.
- ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ერთი და იგივე კომპანიის მიერ საერთაშორისო ღონისძიებაში მეორე და ყოველი მომდევნო მონაწილეობის შემთხვევაში ბენეფიციარის თანამონაწილეობის ოდენობა იზრდება 5 პროცენტით, მაგრამ თანამონაწილეობის პროცენტული ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს უფრო მაღალი კატეგორიის საწარმოსთვის დადგენილ საწყის პროცენტულ თანამონაწილეობას. აღნიშნული წესი არ ვრცელდება მე-4 ზომითი კატეგორიის საწარმოებისთვის, რომლის თანამონაწილეობის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10 %-ს.

  მაგალითი: თუ შპს „ექსპორტი“ მიეკუთვნება მესამე კატეგორიის საწარმოს და მონაწილეობას მიიღებს ორ საერთაშორისო ღონისძიებაში 2020 წელს, მაშინ პირველ ღონისძიებაში კომპანიის პროცენტული თანამონაწილეობა იქნება 20 პროცენტი, ხოლო მეორეში - 25 პროცენტი.

<u>საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ხარჯის კალკულაციის მეთოდი</u>

ბენეფიციარისთვის, საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის გადასახდელი თანხა განისაზღვრება სააგენტოს მიერ ღონისძიებასთან დაკავშირებული, გაწეული ან/და გასაწევი ხარჯის მიხედვით. აღნიშნული დაიანგარიშება თითოეული ხარჯის კატეგორიის,

[1] აშშ დოლარის ექვივალენტი შესაბამის ვალუტაში

სააგენტოსთვის გამოყოფილ საგამოფენო სივრცის ფართობთან (კვადრატულ მეტრებში) შეფარდებით, რომელიც გამრავლდება ბენეფიციარისთვის გადასაცემი სივრცის კვადრატულობაზე და დაჯამდება ხარჯების კატეგორიის მიხედვით. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხა გამოითვლება აღნიშნული ჯამის ბენეფიციარის პროცენტულ თანამონაწილეობაზე გამრავლებით. ბენეფიციარისთვის გადასაცემი სივრცის კვადრატულობაში ასევე შედის საერთო სარგებლობის სივრცე (საერთო საწყობი, მოსასვენებელი ადგილი).

ონლაინ გამოფენაში მონაწილეობისთვის გადასახელი თანხა (თანამონაწილეობის და თანადაფინანსების თანხა) დაიანგარიშება ღონისძიების ორგანიზატორის მიერ გამოწერილი და ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე, რომელსაც უნდა ახლდეს თანამონაწილეობის თანხის გადახდის დამადასტურებელი საგადახდო დავალების ქვითარი.

ღონისძიებასთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც სააგენტოსთვის ცნობილი გახდა ბენეფიციართან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, არ იღებს ხარჯების კალკულაციაში მონაწილეობას, აღნიშნული მიიჩნევა დამატებით ხარჯად, რომელსაც ფარავს სააგენტო.

მაგალითად:

დავუშვათ, რომ გამოფენისთვის ვქირაობთ 500 კვადრატულ მეტრ სივრცეს და თითოეულ კომპანიას გადაეცემა 15 კვადრატული მეტრ სივრცეზე აშენებული სტენდი.

ხარჯის კატეგორია	სერვისის ჯამური ღირებულება (აშშ დოლარი)	ფასი ერთ კვადრატულზე (აშშ დოლარი)	ფასი 15 კვადრატულზე (აშშ დოლარი)
სტენდის მოწყობა	121,360	242.72	3,640.80
სივრცის ქირაობა	166,200	332.40	4,986.00
სტენდის დიზაინი	44,000	88.00	1,320.00
საქონლის ტრანსპორტირება	5,870	11.74	176.10
საქონლის განბაჟება/დასაწყობება	7,000	14.00	210.00
თარჯიმნის მომსახურება	17,500	35.00	525.00
ინვენტარის ქირავნობა	8,035	16.07	241.05
ჯამი	**369,965.00**	**739.93**	**11,098.95**

ამ მოცემულობით, თუ პირი მიეკუთვნება მესამე კატეგორიის საწარმოს და საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში სააგენტოს თანადაფინანსების მექანიზმით/სერვისით არ უსარგებლია ერთი კალენდარული წლის მანძილზე, მაშინ, მის მიერ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობისთვის გადასახდელი თანხა იქნება 2219.79 აშშ დოლარი (11,098.95 * 0,2 = 2.219.79).

დანართი #1

	კომპანიების დასაშვებობის კრიტერიუმები
1	აპლიკანტი არის საქართველოს რეზიდენტი
2	აპლიკანტი არის ბიზნეს სუბიექტი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, გარდა მიკრო მეწარმის სტატუსის მქონე პირისა
3	აპლიკანტის მიერ წარმოებული პროდუქცია გამოფენის შინაარსის შესაბამისია
4	აპლიკანტს, წინა პერიოდში განხორციელებულ საერთაშორისო ღონისძიებებზე მონაწილეობისას, არ უფიქსირდება არასათანადო ქცევა მათ შორის გაუმართლებელი გაცდენა/უარის თქმა[2]
5	აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა საგადასახადო დავალიანების შესახებ, რომლის მიხედვითაც პირს არ უფიქსირდება საგადასახადო დავალიანება სახელმწიფოს მიმართ
6	აპლიკანტი არ უნდა ირიცხებოდეს მევალეთა რეესტრში

[2] **I კატეგორიის არასათანადო ქცევა** - გამოწვეულია კომპანიის გაუფრთხილებლობით და დაუდევრობით. ასეთ შემთხვევაში, დირექტორის მიერ აღნიშნული ფაქტის დადგენიდან 9 თვის განმავლობაში კომპანიას შეეზღუდება სააგენტოს ექსპორტის სტიმულირებისთვის განსაზღვრულ ღონისძიებებზე წვდომა, გარდა საგანმანათლებო აქტივობებისა.

II კატეგორიის არასათანადო ქცევა - გამოწვეულია კომპანიის ქმედებით, რომლის შედეგად სააგენტოს არ მიადგა ფინანსური ან/და რეპუტაციული ზიანი. ასეთ შემთხვევაში, დირექტორის მიერ აღნიშნული ფატრის დადგენიდან 15 თვის განმავლობაში კომპანიას შეეზღუდება სააგენტოს ექსპორტის სტიმულირებისთვის განსაზღვრულ ღონისძიებებზე წვდომა, გარდა საგანმანათლებო აქტივობებისა.

III კატეგორიის არასათანადო ქცევა - გამოწვეული კომპანიის ქმედებით, რომლის შედეგად სააგენტოს მიადგა/მიადგებოდა_ფინანსური ან/და რეპუტაციული ზიანი. ასეთ შემთხვევაში, დირექტორის მიერ აღნიშნული ფაქტის დადგენიდან 2 წლის განმავლობაში კომპანიას შეეზღუდება სააგენტოს ექსპორტის სტიმულირებისთვის განსაზღვრულ ღონისძიებებზე წვდომა, გარდა საგანმანათლებო აქტივობებისა.

შენიშვნა:
არასათანადო ქცევის კატეგორია ყოველ კონკრეტულ შეთხვევაში განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით, რომელიც უნდა გამოიცეს არასათანადო ქცევის დაფიქსირების თაობაზე შესაბამისი დოკუმენტის შექმნიდან არაუგვიანეს 60 სამუშაო დღის ვადაში.

დანართი # 2

ა) ყველა სექტორი, ბავშვის ტანსაცმლის, სათამაშოებისა და ტყავის პროდუქციის წარმოების სექტორების გარდა

	კომპანიის შერჩევის კრიტერიუმები	**ქულა**
1	საწარმოს ზომითი კატეგორია	
	I და II კატეგორიის საწარმო	0.5
	III კატეგორიის საწარმო	1.5
	IV კატეგორიის საწარმო	1
2	საქონლის მწარმოებელი	1.5
3	ხარისხის დამადასტურებელი რელევანტური სერტიფიკატი	2.5
	დანერგვის პროცესში	1
4	ექსპორტიორი საწარმო	1
5	კომპანიის საწარმოო პოტენციალის უტილიზაციის მაჩვენებელი	1
6	პირი არის დონორი ორგანიზაციის ბენეფიციარი	0.5
7	**პირს წინა პერიოდებში არ უსარგებლია სააგენტოს თანადაფინანსების მექანიზმით საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში და ფლობს ან ნერგავს ხარისხის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს**	1
	მინიმალური ბარიერი	4
	მაქსიმალური ქულა	9

ბ) ბავშვის ტანსაცმლის, სათამაშოებისა და ტყავის პროდუქციის წარმოების სექტორი

	კომპანიის შერჩევის კრიტერიუმები	ქულა
1	საწარმოს ზომითი კატეგორია	
	I და II კატეგორიის საწარმო	0.5
	III კატეგორიის საწარმო	1.5
	IV კატეგორიის საწარმო	1
2	საქონლის მწარმოებელი	1.5
3	ხარისხის დამადასტურებელი რელევანტური სერტიფიკატი	2.5
	გამოყენებული ნედლეულის სერტიფიკატი	1
4	ექსპორტის დეკლარაცია	1
	საფოსტო დოკუმენტი	0.5
5	კომპანიის საწარმოო პოტენციალის უტილიზაციის მაჩვენებელი	1
6	პირი არის დონორი ორგანიზაციის ბენეფიციარი	0.5
	პირს წინა პერიოდებში არ უსარგებლია სააგენტოს თანადაფინანსების მექანიზმით საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში და ფლობს ან ნერგავს ხარისხის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს	1
	მინიმალური ბარიერი	3
	მაქსიმალური ქულა	9

საწარმოო პოტენციალის გამოთვლის წესი (მე-5 კრიტერიუმი):

საწარმოო პოტენციალის კრიტერიუმში მაქსიმალური ქულა შეადგენს ერთს (1), რომელიც ეფუძნება წარმოების პოტენციალს. წარმოების პოტენციალის გაზომვისთვის, აპლიკანტმა სარეგისტრაციო ფორმაში უნდა მიუთითოს:

ა) წინა, დასრულებული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებული ერთეულის რაოდენობა

ბ) სულ რამდენი ერთეულის წარმოების შესაძლებლობა აქვს საწარმოს;

საწარმოო პოტენციალის გასაზომად ველში „ა“ შეყვანილი მონაცემი იყოფა ველში „ბ“ მითითებულ მონაცემზე და მრავლდება 100-ზე.

- იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი დაფუძნებულია 18 (თვრამეტი) თვეზე მეტი ვადით და ათვისებული აქვს საწარმოო პოტენციალის 30 ან 30-ზე ნაკლები პროცენტის რესურსი, ენიჭება 0,3 ქულა.
- იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი დაფუნებულია 18 (თვრამეტი) თვეზე ნაკლები ვადით და ათვისებული აქვს საწარმოო პოტენციალის 30 ან 30-ზე ნაკლები პროცენტის (მაგრამ არანაკლებ 10%-ისა) რესურსი, ენიჭება 0,5 ქულა.
- თუ პირს ათვისებული აქვს საწარმოო პოტენციალის 90 პროცენტი ან მეტი, მაშინ პირს ენიჭება 0,7 ქულა.
- თუ პირს ათვისებული აქვს საწარმოო პოტენციალი, რომელიც მერყეობს 31 პროცენტიდან 90 პროცენტამდე, პირს ენიჭება მაქსიმალური 1 ქულა.